ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 86 (18928) ხუთშაბათი, 12 აპრილი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

გუშინ, 11 აპრილს, კრემლში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ



მოსკოვი, კრემლი. 1984 წლის 11 აპრილი. სურათზე: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

სატას-საქინფორმის ტელეფოტო.

პარტიის კურსით, ხალხის ინტერესებისათვის

სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერითა და მოწონებით სარგებლობს კომუნისტების ლენინური პარტიის პოლიტიკური კურსი. ეს უდიდესი დამაჯერებლობით ცხადყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა, რომელიც გადაიქცა სოციალისტური დემოკრატიის, საბჭოთა საზოგადოების მთელი პოლიტიკური სისტემის ტრიუმფად.

ხალხის სრულუფლებიანი წარმომადგენლები — სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ზუსტი ორიენტირებით შეიარაღებულნი შეიკრიბნენ მის პირველ სესიაზე. ეს ორიენტირები ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებში, პლენუმზე ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში, რომლებშიც ღრმად და ყოველმხრივ არის გაანალიზებული განვითარებული სოციალიზმის სრულყოფისათვის მუშაობის დიდმნიშვნელოვანი მიმართულებანი.

პლენუმზე განხილული საკითხები საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი საკითხებია თითოეული კომუნისტისათვის, თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის. მათს რეალიზაციაში პასუხსაგები როლი განეკუთვნებათ სახალხო დეპუტატთა საბჭოებს.

პოლიტიკური აღმავლობისა და საქმიან ატმოსფეროში 11 აპრილს კრემლში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ.

ეროვნებათა საბჭოში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომათა დარბაზში დილის 10 საათზე გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს პირველი სხდომა.

დეპუტატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **გ. ვ. რომანოვს, ნ. ა. ტიხონოვს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, ვ. მ. ჩებრიკოვს, ე. ა. შევარდნაძეს, მ. ვ. ზიმიანინს, კ. ვ. რუსაკოვს.**

უხუცესთა საბჭოს დავალებით ეროვნებათა საბჭოს პირველი სხდომა გახსნა ერთ-ერთმა უხუცესმა დეპუტატმა **ტ. ნ. ხრენნიკოვმა.** მან დიდი მადლობა გადაიხადა ესოდენი პატივისათვის და თქვა:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების დროიდან განვლილ ხუთ წელიწადში ქვეყანა კიდევ უფრო მდიდარი და ძლიერი გახდა. არსებითად გაიზარდა მისი საწარმოო ძალები. მწყობრში ჩადგა ათასზე მეტი სამრეწველო საწარმო. ბევრი რამ გაკეთდა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ნამდვილად საერთო-სახალხო საქმე გახდა სასურსათო პროგრამის რეალიზაცია. სახელმწიფოს მუდმივ ზრუნვას გრძნობს ყოველი საბჭოთა ოჯახი.

საბჭოთა ადამიანები მთლიანად იწონებენ და მხარს უჭერენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, ხალხის ნებისა და მისწრაფებათა გამომხატველ მის გადაწყვეტილებებს. ქვეყანაში ყველგან კმაყოფილებით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლისა და აპრილის პლენუმების შედეგები. მხურვალე მოწონება გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს არჩევამ.

სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭო თავის საქმიანობას იწყებს მასების იმ პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის მძლავრი აღმავლობის ვითარებაში, რომლის მიზანია

(დასასრული მე-2 გვ.).

კავშირის საბჭოში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომათა დარბაზში 12 საათზე გაიხსნა კავშირის საბჭოს პირველი სხდომა.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დეპუტატები და სტუმრები ამხანაგებს **კ. უ. ჩერნენკოს, ჰ. ა. ალიევს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, მ. ს. გორბაჩოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, დ. ა. კუნაევს, მ. ს. სოლომენცევს, დ. ფ. უსტინოვს, ვ. ვ. შჩერბიცკის, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ი. ვ. კაპიტონოვს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს.**

კავშირის საბჭოს პირველი სხდომა უხუცესთა საბჭოს დავალებით გახსნა ერთ-ერთმა უხუცესმა დეპუტატმა **ბ. ე. პატონმა.** მან მადლობა გადაიხადა ესოდენ დიდი პატივისათვის და თქვა:

დამთავრდა სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ვადა. ეს იყო სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის საბჭოთა ადამიანების თავდადებული ბრძოლის წლები. თანამიმდევრულად ხორციელდებოდა ლენინური საგარეო პოლიტიკა — ხალხების მშვიდობისა და უშიშროების პოლიტიკა. მიღწეულია ახალი მწვერვალები სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში.

თავისი განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა საბჭოთა საერთო-სახალხო სახელმწიფო, თანამიმდევრულად იხვეწება სოციალისტური დემოკრატია. გაიზარდა საბჭოების როლი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში.

თავის საქმიანობას სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭო, ხაზგასმით აღნიშნა დეპუტატმა, იწყებს საქმიან, შემოქმედებითი ვითარებაში. ქვეყანაში ფართოდ ჩაღდება შეჯიბ-

(დასასრული მე-3 გვ.).

კ. უ. ჩერნენკო,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ჩერნენკო კონსტანტინე უსტინეს ძე, დეპუტატი ქ. მოსკოვის კუიბიშევის საარჩევნო ოლქისაგან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

კუზნეცოვი ვასილ ვასილის ძე — დეპუტატი რუსეთის სფსრ ვოლგოგრადის საარჩევნო ოლქისაგან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები

იასნოვი მიხეილ ალექსის ძე — დეპუტატი რუსეთის სფსრ ირკუტსკის საარჩევნო ოლქისაგან, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ვატჩენკო ალექსი ფედოსის ძე — დეპუტატი დნეპროპეტროვსკის ოლქის სინელნიკოვის საარჩევნო ოლქისაგან, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

პოლიაკოვი ივანე ევტეის ძე — დეპუტატი მინსკის ოლქის მინსკის სასოფლო საარჩევნო ოლქისაგან, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ხალიმოვი აკილ უმურზაკის ძე — დეპუტატი ნამანგანის ოლქის ჩარტაკის საარჩევნო ოლქისაგან, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

აშიმოვი ბაიკენ აშიმის ძე — დეპუტატი ყარაგანდის ოლქის ყარაგანდის კიროვის საარჩევნო ოლქისაგან, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

გილაშვილი პაველ გიორგის ძე — დეპუტატი საქართველოს სსრ გეგეჭკორის საარჩევნო ოლქისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ხალილოვი ყურბან ალი ოღლი — დეპუტატი აზერბაიჯანის სსრ ზაქის შაუმიანის საარჩევნო ოლქისაგან, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

(დასასრული მე-2 გვ.).

შრომა და ცოდნა — პარტიას, სამშობლოს

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა

17 საათზე კრემლის დიდ სასახლეში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს პირველი გაერთიანებული სხდომა.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დეპუტატები და სტუმრები ამხანაგებს **კ. უ. ჩერნენკოს, ჰ. ა. ალიევს, მ. ს. გორბაჩოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, დ. ა. კუნაევს, გ. ვ. რომანოვს, მ. ს. სოლომენცევს, ნ. ა. ტიხონოვს, დ. ფ. უსტინოვს, ვ. ვ. შჩერბიცკის, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. მ. ჩებრიკოვს, მ. ვ. ზიმიანინს, ი. ვ. კაპიტონოვს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, კ. ვ. რუსაკოვს.**

სხდომას თავმჯდომარეობს **ლ. ნ. ტოლკუნოვი.**

სესიამ დაიწყო დღის წესრიგის მორიგი საკითხის განხილვა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს დეპუტატ **მ. ს. გორბაჩოვს.**

დეპუტატ მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

ამხანაგო დეპუტატებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით თქვენს განსახილველად შემომაქვს უმაღლესი საბჭოს პარტიული ჯგუფისა და პალატების უხუცესთა საბჭოების მიერ მხარდაჭერილი წინადადება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო აირჩიოთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ეს საკითხი განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გუშინ გამართულმა პლენუმმა. ბოლო წლების პარტიული და სახელმწიფო მშენებლობის გამოცდილებაზე დაყრდნობით, საბჭოთა საზოგადოებისა და სახელმწიფოს უმაღლესი ინტერესების გათვალისწინებით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სრული ერთსულოვნების ვითარებაში საჭიროდ ცნო, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ამავე დროს ეკავოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტი. **(ხანგრძლივი ტაში).**

ასეთი გადაწყვეტილება განუყრელად არის დაკავშირებული სსრ კავშირის კონსტიტუციით დამკვიდრებულ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლთან ჩვენს საზოგადოებაში, იმასთან, რომ ჩვენი პარტია განსაზღვრავდა და განსაზღვრავს პოლიტიკური სისტემის ყველა რგოლის და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობის მთავარ მიმართულებებს. მრავალი წლის პრაქტიკამ დამაჯერებლად ცხადყო, რომ სახელმწიფო საქმიანობაში პარტიის პოლიტიკის განხორციელება იყო და კვლავ არის სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის, განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის, ყველა საფეხურის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლისა და ავტორიტეტის ამაღლების, სოციალისტური დემოკრატიის გაფართოებისა და გაღრმავების უმნიშვნელოვანესი პირობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიერ ამავე დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ფუნქციების შესრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის.

საერთაშორისო ასპარეზზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიერ უმაღლესი სახელმწიფო ინტერესების წარმომადგენლობა დამაჯერებლად ასახავს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა განუყოფელია კომუნისტური პარტიის კურსისაგან, რომლის ფუძემდებელი პრინციპები ჩამოყალიბებულია სკკპ XXV და XXVI ყრილობების, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ შემუშავებულ მშვიდობის პროგრამაში.

კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს იცნობენ, როგორც კომუნიზმისა და მშვიდობისათვის შეუპოვარ მებრძოლს, თვალსაჩინო პოლიტიკური და ორგანიზატორული ნიჭის, უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ნაცად ლენინელ ხელმძღვანელს.

მრავალი წლის მანძილზე უშუალოდ მონაწილეობს რა ჩვენი პარტიის პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში, კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო მთელ თავის ძალ-ღონესა და ცოდნას ახმარს სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების ზრდას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. საკუთარი გამოცდილებით იგი კარგად იცნობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის სფეროს, დეპუტატის მუშაობას, საბჭოთა მშენებლობის, კანონმდებლობის განვითარების თავისებურებებს. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სოციალისტური დემოკრატიის თეორიისა და პრაქტიკის შემუშავებაში, სახელმწიფო აპარატის სრულყოფაში, მშრომელთა მასებთან პარტიული და საბჭოთა ორგანოების კავშირის განმტკიცებაში.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო სათავეში ედგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიას, რომელიც მისი ხელმძღვანელობით აქტიურად ახორციელებდა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ კურსს. საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ბირთვული ომის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნისათვის, ქვეყნად მშვიდობისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უდიდესი მუშაობა უშუალოდ არის დაკავშირებული მის საქმიანობასთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლისა და გუშინ გამართულ პლენუმებზე კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს გამოსვლები, მოსკოვის კუიბიშევის რაიონის ამომრჩეველთა წინაშე მის მიერ წარმოთქმული სიტყვა შეიცავენ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების, საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების ვრცელ კონსტრუქციულ პროგრამას. ამ პროგრამას მთლიანად უჭერენ მხარს საბჭოთა ადამიანები, მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხები. მას დიდად აფასებს მსოფლიო საზოგადოებრიობა.

ყოველივე ეს, ამხანაგო დეპუტატებო, ნებას გვაძლევს გამოვთქვათ მტკიცე რწმენა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს არჩევა დიდ სარგებლობას მოუტანს საერთო საქმეს, იმ გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც დასახულია დღეს ჩვენ წინაშე, შესაძლებლობას მოგვცემს წარმატებით განვახორციელოთ საბჭოთა სახელმწიფოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. **(ხანგრძლივი ტაში).**

მ. ს. გორბაჩოვს დეპუტატთა განსახილველად შეაქვს წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეების, მდივნისა და წევრების შესახებ.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს დეპუტატ **კ. უ. ჩერნენკოს** ერთხმად ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. **(დარბაზი ამ გადაწყვეტილებას მქუხარე ტაშით ხვდება).**

შემდეგ დეპუტატები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს **ვ. ვ. კუზნეცოვს,** ირჩევენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებს, მდივანსა და წევრებს.

სიტყვა ეძლევა ამხანაგ **კ. უ. ჩერნენკოს.** დეპუტატები და სტუმრები ფეხზე დგებიან და მიესალმებიან მას ხანგრძლივი ტაშით.

(დასასრული მე-2 გვ.).

ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲪᲝᲓᲜᲐ — ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ, ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢ Კ. Უ. ᲩᲔᲠᲜᲔᲜᲙᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ამხანაგებო!

ვფიქრობ, რომ გამოვხატავ სსრ კავშირის ახლახან არჩეული უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ყველა წევრის გრძნობებს და გულითად მადლობას მოვახსენებ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, თქვენ ყველას, ამხანაგო დეპუტატებო, დიდი ნდობისათვის, რომელიც ჩვენ გამოგვიცხადეთ. (ტაში).

კარგად გვესმის, რომ ეს ნდობა გვავალებს მთელი ჩვენი ძალღონე, ცოდნა და გამოცდილება მოვახმაროთ მშობლიური პარტიის, საბჭოთა ხალხის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სამსახურს.

ნება მიბოძეთ ულრმესი მადლობა გადაგიხადოთ დიდი პატივისათვის, რომ ამირჩიეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. (ტაში). სავსებით შეგნებული მაქვს ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელთანაც დაკავშირებულია ამჟამად ამ მოვალეობათა შესრულება. ახლა განსაკუთრებით გვჭირდება მნიშვნელოვანი, საგულდაგულოდ აწონილ-დაწონილი გადაწყვეტილებები და დიდი ორგანიზატორული მუშაობა, რათა კიდევ უფრო გავზარდოთ ეკონომიკის ეფექტიანობა და ამის საფუძველზე განუხრელად გავაუმჯობესოთ ყველა საბჭოთა ადამიანის ცხოვრების პირობები.

[illegible]

გონივრულ შეთანხმებათა მიღწევისათვის გზების ძიებაში მუდმივ აქტიურობას, სიმტკიცეს, თანამიმდევრულობას მოითხოვს საგარეო პოლიტიკა. მისი მიზანია, დავძლიოთ საერთაშორისო დაძაბულობა, უზრუნველვყოთ უშიშროება, საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი სახელმწიფო ინტერესები, დავიცვათ მთელი მსოფლიოს მშვიდობა.

განვითარებული სოციალიზმის სრულყოფისათვის ყველა ჩვენს საქმეში უდიდესი როლი ეკუთვნებათ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, მის პრეზიდიუმს, მუდმივ კომისიებს. ისინი დიდ მუშაობას ეწევიან ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის, კანონმდებლობის განვითარების, საგარეო პოლიტიკის დარგში.

ვფიქრობ, მათს საქმიანობაში ახლა განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს მუშაობამ ყველა საფეხურის საბჭოებისადმი ხელმძღვანელობისათვის, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, მართვის ორგანოების საქმიანობისადმი კონტროლის გაძლიერების ა თ ვ ი ს, ბრძოლამ ყოველ უბანზე დისციპლინის, ორგანიზებულობის, პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის. აქ არის ფართო სარბიელი თითოეული დეპუტატის აქტიურობისა და ინიციატივის გაძლიერებისათვის.

ხალხის რჩეულნი ახდენენ ხალხის გამოცდილების, სიბრძნის, შემოქმედებითი ენერგიის აკუმულაციას. მათს საერთო და ინდივიდუალურ წვლილზე დამოკიდებულია ჩვენი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მუშაობის პულსი, მისი ქმედითობა და ეფექტიანობა.

მაშ, მოდით და ყველამ ერთად ვიმუშაოთ ისე, რომ ეს პულსი ფეთქავდეს თანაბრად და ზუსტად, რათა წარმატებით ვწყვეტდეთ ჩვენი შინაგანი განვითარების, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლის ამოცანებს.

ამ ბოლო დროს შესამჩნევად გაიზარდა მასების შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობა. ეს იმ მუშაობის პირდაპირი შედეგია, რომელიც გავშალეთ ეკონომიკური და იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დარგში.

ამ მიზანს აქტიურად უნდა ემსახურებოდეს საბჭოების საქმიანობის ყველა მხარის გაუმჯობესება, მუშაობა სოციალისტური დემოკრატიის, ჩვენი საზოგადოების მთელი პოლიტიკური სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის.

როგორც ბუშინ გამართულ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, საბჭოების მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვია. და ჩვენ ყველაფერი უნდა ვილონ-

[illegible]

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢ Კ. Უ. ᲩᲔᲠᲜᲔᲜᲙᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

[illegible]

...ჭოთა ხალხის, მოძმე სოციალისტური ქვეყნების ცხოვრებისა და მუშაობისათვის ხელშემწყობი პირობების უზრუნველყოფა, თერმობირთვული კატასტროფის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნა, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშ-[illegible]

ამით კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს პირველი გაერთიანებული სხდომა დამთავრდა.

12 აპრილს სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

[illegible]

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განცხადება სსრ კავშირის ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს წინაშე თავის უფლებამოსილებათა მოხსნის შესახებ.

მოწონებულ იქნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმიანობა.

2. დაინიშნოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხანაგი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტიხონოვი და დაევალოს მას წარმოუდგინოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს წინადადება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პერსონალური შემადგენლობის შესახებ.

3. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განაგრძოს თავის მოვალეობათა შესრულება, სანამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო შექმნიდეს სსრ კავშირის ახალ მინისტრთა საბჭოს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
Კ. ᲩᲔᲠᲜᲔᲜᲙᲝ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
Თ. ᲛᲔᲜᲗᲔᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘ. 1984 წლის 11 აპრილი.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘᲗ, ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

[illegible]

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

[illegible]

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების ხელმძღვანელები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ეროვნებათა საბჭოს თავმჯ.: „ეროვნებათა საბჭოს თავმჯ. რად აირჩეულ იქნეს ამხანაგი ვალენტინ ტ. ვოლი — დეპუტატი ტატარის სსრ-ის საკანონმდებლო ოლქიდან.

მოსკოვი, კრემლი. 1984 წლის 11 აპრილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს მოადგილეთა პირველი მოადგილე

ეროვნებათა საბჭოს ადგილ.: „ეროვნებათა საბჭოს თავმჯ.-ად მოადგილედ ამრჩევი იქნეს:

ალმა-ათელი ტიტელბაევ ფეოდოსმის ძე — დეპუტატი ალმა-ათის სსრ თეატრების საკონკურსო ოლქიდან, ფარაონის ბეტალიანელი კომბინატის ბრიგადა სამრეცხაო საამქროს მუშაკი;

ბოდაიბოელი ივერი ასანალი ძე — დეპუტატი ყარაბალ-ერევნელის ავტონომიური ოლქი ეროვნულ საბჭოს საკონკურსო ოლქიდან, ჩერკეზი, ოლქიდან სტეპ. ფერფალია კიბინის ბაგეებიის თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის ჩერკეზიელი კიბინის ბანკეტების მეფიანი;

ლინბერგი ეგონ იოგანეს ასული — დეპუტატი ხელოვნების სსრ ეროვნული ანსამბლი ეროვნული ოლქიდან, მოცეკვავეების ოლქის ნელინინის №1 სახელო სკოლის მასწავლებელი;

ტოიტოკი ფარიკაკი — დეპუტატი ტატეკეთის სსრ ეროვნული ანსამბლის საარტისტო ოლქიდან, ლენინგორის ოლქის ანსამბლიანი ოლქიდან ბალიანი ბარაბანი კოლტეტრეტი.

მოსკოვი, კრემლი. 1984 წლის 11 აპრილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დადგენილებება კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილეთა

კავშირის საბჭო ადგენს:

კავშირის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩეულ იქნეს ტოლეუბაევი ლევ ნაკოლოს ძე — დეპუტატი ტატარის ოლქის კრემლინის საარტისტო ოლქიდან.

მოსკოვი, კრემლი. 1984 წლის 11 აპრილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დადგენილებება კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილეთა

კავშირის საბჭო ადგენს:

კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად აირჩეულ იქნეს:

ჯალოგოვი ბაიტაბა ბაიტაბასის ძე — დეპუტატი ლიტვის სსრ ეროვნული საკანონმდებლო ოლქიდან, ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი;

ანდიანი ფეოდორენკო სოფრონ ანიფის ძე — დეპუტატი ლენინგრადის სსრ ამბასადორ სასოფლო საარჩევნო ოლქი ლენინგრადის ოლქიდან, ბრიგადის ოლქის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა «ტეხელინა» კოლმეურნეა;

ნარმამეტოვ ბალიანსა ამანგასის ასული — დეპუტატი ტატარეთის ოლქის ბარეზანის საარჩევნო ოლქიდან, ბარეზანის ქალაქმშენებლობის სამმართველოს სამმართველოს აკადემიის პროფესორი.

მოსკოვი, კრემლი. 1984 წლის 11 აპრილი.

ა. ე. ვოსი, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე.

ჩ. დ. ალაკ-ეოსუპოვი, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ი. ი. ბონდარევი, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ე. ი. ლობანოვა, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ფ. ტოირკოვა, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ლ. ნ. ტოლკუნოვი, კავშირის საბჭოს თავმჯდომარე.

ჯ. ა. ბრიუკანანიუსი, კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ო. ს. კულოვა, კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ზ. ა. ნარმამეტოვა, კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ბ. ი. კაბანინი, კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

ვ. ვ. ალუნიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ვ. ა. ივანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ა. ფ. ბატანინა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ი. ე. კოლეიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ა. უ. სალეიმოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ბ. ა. ავეიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ა. ბ. ბალანდინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ე. ა. ალექსეევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ა. ბ. ბაბაკაუხანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ი. ა. ალექსეევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ა. ი. ალბერტინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ო. ბ. ალუფოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ბ. ალალაევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ბ. ვ. ალარკინოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ბ. ია ბუულეიევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ა. ო. რიეიტელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ო. ნ. ბენეთეშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი.

ნ. ბ. ბასოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

რ. ა. ბაკრილოვა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ა. ვ. ბიტალოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ვ. ვ. ბრიუინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ვ. ფ. ეგოროვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ბ. ნ. ელეინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ლ. ნ. ზაიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ნ. ა. ჯლინინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ფ. ა. კუნაევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ვ. ფ. მიუინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ნ. ა. ოტაკე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ნ. ნ. რიეოვა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ნ. ნ. სლეუნკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

რ. ნ. სტასეევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ვ. ვ. ტეიეუკოვა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ბ. ი. უსპასოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ი. ბ. ულიანოვსკაევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ფ. ზ. ფაკერიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ს. ა. ფალაევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ვ. ვ. ფეკრანიეკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

რ. ჯ. ბაბეზათოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დადგენილება

კავშირის საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ

ვაბრილია რა სამმანდატო კომისიის წარდგენაზე, ეროვნებათა საბჭო სსრ კავშირის კონსტიტუციის 110-ე მუხლის შესაბამისად ადგენს: ცნობილი იქნეს 1984 წლის 4 მარტს არჩეული კავშირის საბჭოს 750 დეპუტატის უფლებამოსილებანი.

მოსკოვი, კრემლი. 1984 წლის 11 აპრილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დადგენილება

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ

ვაბრილია რა სამმანდატო კომისიის წარდგენაზე, ეროვნებათა საბჭო სსრ კავშირის კონსტიტუციის 110-ე მუხლის შესაბამისად ადგენს: ცნობილი იქნეს 1984 წლის 4 მარტს არჩეული ეროვნებათა საბჭოს 749 დეპუტატის უფლებამოსილებანი.

მოსკოვი, კრემლი. 1984 წლის 11 აპრილი.

საქართველოს ცნობა

დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ეკიპაჟის ფრენა

კოსმონავტები იური მალიშევი, გენადი სტრეკალოვი და რაკეშ შარმა დედამიწაზე დაბრუნდნენ

1984 წლის 11 აპრილს მოსკოვის დროით 14 საათსა და 50 წუთზე „სალუტ-7" — „სოიუზ ტ-10" — „სოიუზ ტ-11" სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსში ერთობლივი სამუშაოების პროგრამის დამთავრების შემდეგ საერთაშორისო ეკიპაჟი ხომალდის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი იური მალიშევის, ბორტინჟინრის, საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის გენადი სტრეკალოვისა და მკვლევარი კოსმონავტის, ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქის რაკეშ შარმას შემადგენლობით დედამიწაზე დაბრუნდა. „სალუტ-7" სადგურში მუშაობას განაგრძობენ კოსმონავტები ლეონიდ კიზიმი, ვლადიმერ სოლოვიოვი და ოლეგ ატკოვი.

„სოიუზ ტ-10" ხომალდის დასაშვები აპარატი დაეშვა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის დასავლეთ რაიონში 46 კილომეტრზე ქალაქ არკალიკის აღმოსავლეთით.

კოსმონავტები იური მალიშევი, გენადი სტრეკალოვი და რაკეშ შარმა დაშვების შემდეგ თავს კარგად გრძნობენ.

„სალუტ-7" — „სოიუზ ტ-10" — „სოიუზ ტ-11" პილოტირებულ კომპლექსში ფრენის დროს საერთაშორისო ეკიპაჟმა მთლიანად შეასრულა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ ერთობლივად მომზადებული დაგეგმილი სამეცნიერო პროგრამა.

პროგრამა „ტერას" ფარგლებში დედამიწის ბუნებრივი რესურსების გამოკვლევისა და გარემოს შესწავლის მიზნით კოსმონავტები აწარმოებდნენ ინდოეთის ტერიტორიისა და ინდოეთის ოკეანის აკვატორიის ცალკეული რაიონების ფოტოგადაღებას.

ტექნოლოგიურ დანადგარ „საორიონქლებელზე" კოსმოსური მასალათმცოდნეობის პროგრამის შესაბამისად შესრულებულია მთელი რიგი ექსპერიმენტები უწონობაში თხევადი ფაზის პროცესებისა და ამორფული ლითონის მასალების მიღების შესაძლებლობათა შესასწავლად.

სამეცნიერო პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო სამე-

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ამხ. ი. ვ. მალიშევის ლენინის ორდენითა და მეორე „ოქროს ვარსკვლავის" მედლით დაჯილდოების შესახებ

„სალუტ-7" — „სოიუზ" ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსით კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელებისა და ამ დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის ამხ. იური ვასილის ძე მალიშევი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენითა და მეორე „ოქროს ვარსკვლავის" მედლით.

საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ი. ვ. მალიშევის გმირობის აღსანიშნავად დაიდგას ბრინჯაოს ბიუსტი გმირის სამშობლოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. ჩერნენკო.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. მენთეშაშვილი.**

მოსკოვი, კრემლი. 1984 წლის 11 აპრილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ამხ. გ. მ. სტრეკალოვის ლენინის ორდენითა და მეორე „ოქროს ვარსკვლავის" მედლით დაჯილდოების შესახებ

„სალუტ-7" — „სოიუზ" ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსით კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელებისა და ამ დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის ამხ. გენადი მიხეილის ძე სტრეკალოვი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით და მეორე „ოქროს ვარსკვლავის" მედლით.

საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. გ. მ. სტრეკალოვის გმირობის აღსანიშნავად დაიდგას ბრინჯაოს ბიუსტი გმირის სამშობლოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. ჩერნენკო.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. მენთეშაშვილი.**

მოსკოვი, კრემლი. 1984 წლის 11 აპრილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქის, მკვლევარი კოსმონავტის რაკეშ შარმასათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

„სალუტ-7" — „სოიუზ" ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსით კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელებისა და ამ დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის" მედალი ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქეს, მკვლევარ კოსმონავტს რაკეშ შარმას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. ჩერნენკო.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. მენთეშაშვილი.**

მოსკოვი, კრემლი. 1984 წლის 11 აპრილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

მკვლევარი კოსმონავტის დუბლიორის, ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქის რავიშ მალჰოტრას ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივი კოსმოსური ფრენის მომზადებასა და მოწყობაში აქტიური მონაწილეობისათვის მკვლევარი კოსმონავტის დუბლიორი, ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე რავიშ მალჰოტრა დაჯილდოვდეს ხალხთა მეგობრობის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. ჩერნენკო.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. მენთეშაშვილი.**

მოსკოვი, კრემლი. 1984 წლის 11 აპრილი.

12 აპრილი კოსმონავტიკის დღეა

დაუვიწყარი შეხვედრები

კოსმოსის პირველ მერცხალ იური გაგარინთან

გიწვევთ პრემიერაზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებაში

ექსპორტისათვის ზრუნვა

შემოსავლისათვის ზრუნვაა

11 აპრილი

უცხოეთში

ფაქტები, მოვლენები, საქმეები, იუწყება

მუდმივი ძიება და წინსვლა

გამოხმაურება

● აშშ

იდეოლოგიური დივერსია

ფოტორეპორტაჟი

ჩიქლეთა პროტესტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

მოსკოვი

ჩვენს ტელეეკრანებზე

თეატრი

თბილისი

რედაქტორი ვ. ბეჟანიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434